

აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვების დედების ხასიათის სიმტკიცეები,
სტრესის დაძლევის სტარტეგიები და ფსიქოლოგიური კარგად ყოფნის
განცდა

ნუცა ხაბელაშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტზე განათლების ფსიქოლოგიის მაგისტრის
აკადემიური ხარისხის
მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

განათლების ფსიქოლოგია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: დარეჯან (ჯანა) კახიანი, ფსიქოლოგიისა და პედაგოგიკის
მეცნიერებათა დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2021

განაცხადი

„როგორც წარმოდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოყენებულ, გამოსაყენებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.“

ნუცა ხაბელაშვილი 17.06.2021

მადლობა

მინდა მადლობა გადავუხადო სამაგისტრო ნაშრომის კურსის ხელმძღვანელს - ქალბატონ დარეჯან კახიანს, ასევე სამაგისტრო ნაშრომის ლექტორს ქალბატონ ნინო სხირტლაძეს, ნაშრომზე მუშაობის პერიოდში საკუთარი ძალისხმევის ჩადებისთვის, გაწული დახმარებისა და მხარდაჭერისთვის. ასევე, მინდა მადლობა გადავუხადო ყველა იმ ადამიანს, რომელმაც გამონახა დრო და ენერგია და მიიღო კვლევაში მონაწილეობა.

აქვე მინდა აღვნიშნო, რომ მოცემულ ნაშრომში არ არის წარმოდგენილი რაიმე სახის პლაგიატი/თვითპლაგიატი. აღნიშნულ კვლევაში გამოყენებული ორი კითხვარი - ხასიათის სიმტკიცეების და ფსიქოლოგიური კარგად ყოფნის განცდის კითხვარი - ასევე გამოყენებული მაქვს ჩემი საბაკალავრო კვლევითი ნაშრომის ფარგლებში.

მოცემული ნაშრომი, ლექტორთან შეთანხმების საფუძველზე, გამოვიყენე სამაგისტრო სემინარის კურსის ფარგლებშიც.

სარჩევი

აბსტრაქტი	1
შესავალი	5
ლიტერატურის მიმოხილვა	15
კვლევის მიზანი:.....	22
საკვლევი კითხვები:	22
კვლევის ჰიპოთეზები:.....	22
მეთოდი.....	23
კვლევის მონაწილეები:	23
კვლევის პროცედურა:	23
კვლევის ინსტრუმენტები:	24
შედეგები.....	28
აღწერითი სტატისტიკა:	28
ზოგადი ტენდენცია	31
კორელაციური ანალიზი:	32
რეგრესიული ანალიზი:	36
შედეგების ანალიზი	38
დასკვნა.....	43
კვლევის შეზღუდვები.....	45
გამოყენებული ლიტერატურა.....	46
დანართები	49

აბსტრაქტი

აღნიშნული კვლევის მიზანია შეისწავლოს აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვების დედების ხასიათის სიმტკიცეებს, სტრესის დამღევის სტრატეგიებსა და კარგად ყოფნის განცდას შორის არსებული კავშირი. ბოლო წლების განმავლობაში აღნიშნული დიაგნოზის დადასტურების შემთხვევები იზრდება, რაც თავის მხრივ ამ კუთხით სხვადასხვა სახის კვლევების ჩატარებას უქმნის საფუძველს. აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვების მშობლების სხვადასხვა მახასიათებლის მიხედვით შესწავლა საკმაოდ აქტუალური გახდა ბოლო ათწლეულის მანძილზე. ის თუ როგორი მიმართება არსებობს აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვების დედების ხასიათის სიმტკიცეებს, სტრესის დამღევის სტრატეგიებსა და კარგად ყოფნის განცდას შორის, ჯერ ბოლომდე ნაკვლევი არაა.

კვლევაში მონაწილეობა მიიღეს აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვების მშობლებმა - კერძოდ 80-მა დედამ. ისინი იყვნენ სხვადასხვა ასაკის, განათლების, ოჯახური მდგომარეობის მქონე მშობლები, რომელთაც ჰყავდათ სხვადასხვა რაოდენობისა და ასაკის მქონე შვილები (იგულისხმება როგორც აუტისტური სპექტრის მქონე, ასევე ტიპიური განვითარების ბავშვები). კვლევაში მონაწილე აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვების დედების ასაკი მერყეობდა 18-დან 56+ წლამდე. უმეტესობა მათგანი იყო 26-35 (49.2%) და 36-45 (39.3%) წლის ასაკობრივი კატეგორიის წარმომადგენელი.

კვლევის ფარგლებში გამოყენებული იყო სამი კითხვარი, კერძოდ, ხასიათის სიმტკიცეების, სტრესის დამღევის სტრატეგიებისა და კარგად ყოფნის განცდის საკვლევი კითხვარი.

ხასიათის სიმტკიცეების საკვლევი სრული კითხვარი შედგება 6 ღირსებისგან და 24 სიმტკიცისგან. კვლევის მიზნიდან გამომდინარე, მოცემული ნაშრომის ფარგლებში ექვსი ღირსებიდან გამოყენებული იყო მხოლოდ სამი ღირსება და მათ ქვეშ გაერთიანებული 13 სიმტკიცე. სტრესის დამღევის სტრატეგიების სრული კითხვარი შედგება 15 სკალისა და 60 დებულებისგან. მოცემული კვლევის ფარგლებში გამოყენებული იყო მხოლოდ ოთხი

სტრესის დაძლევის სტრატეგიის სკალა. და ბოლოს, ფსიქოლოგიური კარგად ყოფნის განცდის 8 დებულებიანი კითხვარი, რომელიც სრულად იყო გამოყენებული კვლევის ფარგლებში.

კვლევის შედეგებმა გამოავლინა თუ როგორი კავშირები არსებობს ჰიპოთეზებში ნავარაუდევ ცვლადებს შორის; პასუხი გასცა კვლევის მთავარ კითხვებს; შედეგების ანალიზის საშუალებით დადგინდა მიმართება ხასიათის კონკრეტულ სიმტკიცეებს, სტრესის დაძლევის სტრატეგიებსა და კარგად ყოფნის განცდას შორის.

კვლევის შედეგად გამოვლინდა სტატისტიკურად მნიშვნელოვანი კავშირები ხასიათის სიმტკიცეებსა (“სიბრძნე და ცოდნა”) და სტრესის დაძლევის სტრატეგიებს („დადებითი რეინტერპრეტაცია და პიროვნული ზრდა“ ,) შორის. ასევე ნაწილობრივ დადასტურდა მეორე ჰიპოთეზაც - ხასიათის სიმტკიცეს (“ჰუმანურობასა”) და სტრესის დაძლევის სტრატეგიას (“ემოციური სოციალური მხარდაჭერის ძიება”) შორის გამოვლინდა სუსტი დადებითი კორელაციური კავშირი. გარდა კორელაციური კავშირისა, მონაცემთა რეგრესიული ანალიზის საშუალებით გამოვლინდა, რომ ხასიათის სიმტკიცეები (ჰუმანურობა) წარმოადგენს პრედიქტორს კარგად ყოფნის განცდისთვის. ძლიერი დადებითი კორელაციური კავშირი გამოვლინდა ხასიათის სიმტკიცეებსა (“ტრანსცედენტულობა”) და ფსიქოლოგიური კარგად ყოფნის განცდას შორის. რეგრესიული ანალიზის საშუალებით, ხასიათის სიმტკიცეების (“ტრანსცედენტულობა”) მიმართება ასევე ვიკვლიეთ სტრესის დაძლევის სტრატეგიისთვის - პოზიტიური რეინტერპრეტაცია და ზრდა. მონაცემთა რეგრესიულმა ანალიზმა აჩვენა, რომ ხასიათის სიმტკიცეები (“ტრანსცედენტულობა”) წარმოადგენს აღნიშნული სტრესის დაძლევის სტრატეგიის პრედიქტორს. სუსტი დადებითი კავშირი გამოვლინდა კარგად ყოფნის განცდასა და სტრესის დაძლევის სტრატეგიას - იუმორს შორის. მეხუთე ჰიპოთეზა, რომლის მიხედვითაც სტრესის დაძლევის სტრატეგიას (“უარყოფა”) და კარგად ყოფნის განცდას შორის უნდა არსებობდეს უარყოფითი კორელაცია - არ დადასტურდა. ანალიზის შედეგად გამოვლინდა, რომ “უარყოფასა” და კარგად ყოფნის განცდას შორის არ არსებობს სტატისტიკურად მნიშვნელოვანი კავშირი.

abstract

The primary purpose of this research is to investigate the relationship between strengths of character, coping strategies and psychological well-being in the parents of the children with autism spectrum disorder. The positive diagnoses has been encreasing, so that made a groundwork for a more various stadies. Autistic spectrum study according to different characteristics of parents of the children autism spectrum disorder has become more and more actual over the last decade. On this direction the research compares the stress levels of the parents with children having autism spectrum disorder and the parents with children of tipical psychological development. As far as we are concern the study of the relationship between maternal characteristic strengthes, stress coping strategies and psychological well- being in parents of the children with autism spectrum disorder still has not the main and bright trace.

The participants of the research were 80 mothers with different age, education and marital status having autism specturm disorder children, these parents have children with autism spectrum disorder as well as children with typical development. The participants' age were ranged from 18 to 56 +, most of them were in 26-35(49.2%) and 36-45 (39.3%) age groups.

Three questionnaires were used in the study, namely of character strengths, stress coping strategies, and a psychological well-being. The questionnaire of the characteristic strengthes contains the 6 dignities and 24 Strengths. Beacuse of the main purpose of this research only 3 dignities containing 13 strengthes were chosen for the research;The questionnaire of the stress coping strategies contains 15 scales and 60 regulations,from which were used only 4 stress coping strategies investigating scales. Finally, the questionnaire of the psychological well-being containing 8 item were fully used in the study.

Result of the study has revealed the relationship between the variables. Study has tried to answer the main question: Is the important relationship between the variables such as characteristic strengthes, stress coping strategies and psychologicaal well-being. As a result revealed the

statistically significant difference between characteristic strengths („wisdom and knowledge“) and stress coping strategies („positive reinterpretation and personal growth"). Partly proved the second hypothesis, where has revealed the weak positive correlation between characteristic strengths („humanity“) and stress coping strategy („seeking the emotional social support“). By helping the multiple regression has revealed that characteristic strengths („Humanity“) presented as a predictor for the psychological well-being. Strong positive correlation was found between characteristic strengths („Transcendence“) and psychological well-being, so that the third hypothesis has proved. After a multiple regression characteristic strengths („Transcendence“) is the predictor for the stress coping strategy („Positive reinterpretation and personal growth“).

Weak positive relationship revealed between psychological well-being and stress coping strategy („Humor“). The fifth hypothesis, according to which would prove the negative correlation between coping strategies ("rejection") and psychological well-being - had not confirmed. Results led us to assume that there is no statistically significant difference between the „rejection“ and psychological well-being.